

ბზობის კვირის ქადაგება უფლის იერუსალიმში შესვლა

12 აპრილი 2020წ.

თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამი წლის განმავლობაში ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ იერუსალიმში ტრიუმფალური შესვლით პირველად განუცხადა თავის ხალხს როგორც მესია, რომლის ამ ქვეყნად მოსვლაც წინასწარმეტყველების მიერ იყო ნათქვამი. როდესაც ის შევიდა იერუსალიმში, ხალხი, რომელთაც ხელში პალმის რტოები ეჭირათ, სიხარულით ეგებებოდნენ მას სიტყვებით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაელისა!“ (ინ. 12:13) როდესაც ფარისეულებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ასეთი მისალმების გამო, უფალმა უპასუხა მათ: „გეტყვი თქვენ: რამეთუ ესენი დუმენ, ქვანი დაღაღებდენვე“ (ლუკა. 19:40). და ეს ნამდვილად მოხდა რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც იესომ, ჯვარზე მიღურსმულმა, სული განუტევა: „და ქვეყანა შეიძრა და კლდენი განსქთდეს, და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალი გვამნი წმიდათანი აღდგეს“ (მათე. 27:50-52). ხოლო უფლის აღდგომის შემდეგ „ანგელოზი უფლისა... გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა“ (მათე. 28:2), რათა მენელსაცხებლუ დედები შესულიყვნენ და მოწმენი გამხდარიყვნენ ქრისტეს მკვდრეთით - აღდგომისა როგორც ყოვლისშემძლე ღმერთისა.

პატარა ბავშვები, რომლებიც აგრეთვე ესწრებოდნენ უფლის სადღესასწაულო შეხვედრებს იერუსალიმში, განსაკუთრებული სიხარულით გაჰყვიროდნენ: „ოსანა მაღალთა შინა!“ (ლუკა. 21:9). დიდება მაღალსა შინა ღმერთსა! ყველა უიდეველები, ჩამოსულები გალილეიდან პასექის დღესასწაულზე, განცვიფრებული იყვნენ სასწაულებით, რომლის მხილველებიც ისინი გახდნენ და გარშემომყოფებს მოუთხრობდნენ ამის შესახებ. ხალხში აღარ იყო ეჭვი იმისა, რომ იესო - ჭეშმარიტი მესიაა, რომელსაც ისინი საუკუნეები ელოდნენ. ამიტომაც ეგებებოდა ხალხი შეძახილებით: „კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისათა!“ (ლუკა 19:38).

ჩემო ძმებო და დებო,

ხალხი რომელიც ხვდებოდა უფალ იესო ქრისტეს იერუსალიმში, ბოლომდე ვერ ათვითცნობიერებდა, ვინ იყო ქრისტე. ისინი მიიჩნევდნენ მას ებრაელი ხალხის მიწიერ მეფედ. მისი შეცნობით, ეგებებოდნენ უფალს იერუსალიმში განუსაზღვრელი სიხარულით და აღტაცებით. რამდენად უფრო მეტად გვმართებს ჩვენ ვადიდოთ და ვმადლობდეთ ზეცათა მეუფეს, ჩვენი სულების მხსნელს - მას, ვინც შევიდა იერუსალიმში, რათა თავი მსხვერპლად შეეწირა ჩვენთვის! იერუსალიმელი ხალხისგან განსხვავებით ჩვენ უსაზღვროდ დიდი მადლი მივიღეთ უფლისგან. წმ. ბასილი დიდის ლიტურგიის მთავარი ლოცვა - ლოცვა ევქარისტული ანაფორისა (ამაღლება) - ჩამოთვლის ზოგიერთ ღვთის მადლს რომელმაც ჭეშმარიტი მხსნელი დაგვანახა. „ამოგვიჩია რა ჩვენ თავის წმინდა

ხალხად,... გვაქცია ჩვენ რჩეული ხალხი, მეფეებად და მოძღვრებად, ერთიან წმ. ერად, რის გამოც გასწირა თავი ჩვენთვის, რათა გამოეხსნა სიკვდილისაგან, რომელიც კრავდა ყველას, თითქოს და ტყვეებს, ცოდვის მონობაში; და ჩავიდა ჯვარცმის გზით ჯოჯობეთში, და გაანათა ის თავისი ღვთიურობით, მან გაწყვიტა სიკვდილოს მწუხარების ბორკილები".

თავისი სიყვარულითა და უმაღლესი მსხვერპლით უფალმა გაგვწმინდა ჩვენ ცოდვებისაგან და გაგვათავისუფლა ეშმაკისაგან. მან დაგვიფარა ჩვენ სამუდამო სიკვდილის მწუხარებისაგან და აგვამალა ზეცამდე, გაგვხადა მისი სამუდამო მეუფების თანამონაწილეებად.

მათეს სახარების განმარტებაში იოანე ოქროპირი იესო ქრისტეს პირით ამბობს ასეთ სიტყვებს: „მე ვარ მამა, ძმა, სასიძო, სახლი, საკვები, ტანსაცმელი, ძირი, ფუძე, მე ვარ ყველაფერი რასაც კი მოისურვებ: არაფრის ნაკლოვანება არ გექნება შენ" მე გემსახურები კიდეც, - იმიტომ, რომ მე ვაცისა არა მოვიდა, რათამცა იმსახურა, არამედ მსახურებად (მთ. 20:28). მე ვარ მეგობარიც, ... ძმაც, დაც, და დედაც, - მე ყველა ვარ; შენ მხოლოდ ჩემი მეგობარი იყავი. შენთვის მე ღარიბი ვარ, შენთვის მე მათხოვარი ვარ, შენთვის ჯვარზე გაკრული ვარ, შენთვის საფლავში ვარ, შენთვის მამასთან ვშუამდგომლობ, ზეცაში, შენთვის მოვევლინე შუამავლად მამისგან. შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ: „ძმაც, მემკვიდრეც, და მეგობარიც. კიდეც რა გინდა? რად უარყოფ მას, ვისაც უყვარხარ?" [76-ე ქადაგება მათეს სახარება 24:16-31 (ბერძნული პატროლოგია, ტომი 12, გვ. 34)].

ჩემო ძმებო და დებო, უფალმა იესო ქრისტემ ჩვენთვის ყველაფერი გააკეთა და ჩვენთვის ყველაფერია; მოდით მივყვეთ მას, რადგან „სიმე შუალამისას მოდის". მოდით მივყვეთ ჩვენი ეკლესიის მოწოდებას: მოდით საყვარელნო ვიდღესასწაულოთ, შევხვდეთ მას გალობით: რადგან უფალი ჯვარზე გასაკრავად მოდის, რადგან ქრისტე ტანჯვისთვის იჩქარის; ყველაფრის შემძლეს ნებავეს გაეკრას ძელზე, რათა კაცობრიობა იხსნას.

მოდით შევეგებოთ მას ჩვენს ეკლესიებში, ჩვენს გულებში და სულში მადლიერებისა და ქების გალობით, „მოდით ვადიდოთ მისი ენით აუწერელი წყალობა". მოდით ვილოცოთ არა მარტო ამ საღამოს, არამედ მთელი ვნების კვირა, რათა განვიცადოთ ყველაფერი, რაც მან ჩვენთვის გადაიტანა, რათა გავიხსენოთ მისი წმინდა ვნებანი. მოდით ეს მორჩილი მადლიერებით გავაკეთოთ, რისკენაც მოგვიწოდებს ჩვენი ეკლესია: „მივიდეთ ჩვენ, განწმენდილი ფიქრებით, დავდგეთ მასთან და გავეკრათ მასთან ერთად და დავეფლათ მასთან მიმავალი ცხოვრებისთვის და აღვდგეთ მასთან ერთად... ზეციურ იერუსალიმში". ამინ.